

ძირითადი ინფორმაცია საერთაშორისო დაცვის მოთხოვნულ პირთათვის საბერძნეთში

საერთაშორისო დაცვის მოთხოვნელი პირი არის უცხოელი ან მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელიც მიმართავს ზეპირი ან წერილობითი ფორმით საბერძნეთის ნებისმიერ კომპეტენტურ ორგანოს თავშესაფრის მოთხოვნით ან ითხოვს, რომ არ მოხდეს მისი დეპორტირება, რადგან არსებობს მისი დევნის საშიშროება რასის, სარწმუნოების, მოქალაქეობის, გარკვეული სოციალური ჯგუფის წევრობის ან პოლიტიკური მრწამსის ნიშნით, ან ვინაიდან მას ემუქრება სერიოზული ზიანის მიყენების საფრთხე თავისი მოქალაქეობრივი კუთვნილების ან მუდმივი საცხოვრებელი ადგილის ქვეყანაში. კერძოდ, მას ემუქრება სიკვდილით დასჯა ან დახვრეტა, წამება ან არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობა, ან საფრთხე ემუქრება მის სიცოცხლეს ან ფიზიკურ ხელშეუხებლობას საერთაშორისო ან სამოქალაქო კონფლიქტების გამო.

საერთაშორისო დაცვის მოთხოვნელად ითვლება ის უცხოელიც, რომელიც გადმოყავთ საბერძნეთში იმ ქვეყნიდან, რომელიც ასრულებს "დუბლინი"-ს რეგულირებას.¹

საერთაშორისო დაცვის მოთხოვნა : სად და როგორ უნდა შეიტანოთ განცხადება

- საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის განცხადებით შეგიძლიათ მიმართოთ უფლებამოსილ ორგანოებს. ესენი არიან: თავშესაფრის რეგიონალური სამსახურები და თავშესაფრის რეგიონალური სამსახურების ფილიალები.

ყურადღება

გაცნობებთ, რომ თავშესაფრის სამსახურის კომპეტენციაში არ შედის თქვენი განცხადების მიღება თუ: ა) თქვენ უკვე შეიტანეთ საერთაშორისო დაცვის განცხადება პოლიციაში, რომლის განხილვაც არ არის დასრულებული. ბ) ხართ უცხოელის თავშესაფრის მამიებლის დამადასტურებელი სპეციალური ბარათის მფლობელი ("ვარდისფერი ბარათი").

აგრეთვე გაცნობებთ, რომ ნებისმიერ შემთხვევაში მოხდება თქვენი თითის ანაბეჭდების აღება, რის შედეგადაც თავშესაფრის სამსახური დაადგენს გაქვთ თუ არა უკვე შეტანილი საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის განცხადება, და დაუყოვნებლივ გადამოწმდება არის თუ არა თქვენი განცხადება განხილვის პროცესში.

- თუ თქვენ ხართ პატიმარი ან იმყოფებით პირველადი მიღებისა და იდენტიფიცირების ცენტრში საპატიმროს ან პირველადი მიღების დაწესებულების უფლებამოსილი სამსახური აცნობებს თავშესაფრის სამსახურს თქვენი საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის განცხადების სურვილის შესახებ.

- საერთაშორისო თავშესაფრის მოთხოვნის შესახებ პირადად უნდა გააკეთოთ ზეპირი ან წერილობითი განაცხადი. აგრეთვე, შეგიძლიათ შეიტანოთ განცხადება

¹ ქვეყნები რომლებიც ასრულებენ "დუბლინი II"-ის რეგულირებას არიან: ავსტრია, ბელგია, ბულგარეთი, საფრანგეთი, გერმანია, დანია, შვეიცარია, ესტონეთი, დიდი ბრიტანეთი, ირლანდია, ისლანდია, ესპანეთი, იტალია, კვიპროსი, ლატვია, ლიხტენშტეინი, ლიტვა, ლუქსემბურგი, მალტა, ნორვეგია, ჰოლანდია, უნგრეთი, პოლონეთი, პორტუგალია, რუმინეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, შვედეთი, ჩეხეთი, ფინეთი.

თქვენი ოჯახის წევრების სახელზეც იმ შემთხვევაში, თუ ისინი თქვენთან ერთად იმყოფებიან საბერძნეთში და აქვთ ამის სურვილი. ამ შემთხვევაში, თქვენი ოჯახის წევრები უნდა გამოცხადდნენ თავშესაფრის სამსახურში თქვენთან ერთად.

- თუ თქვენ, განცხადების შეტანის დროს არ გესმით თავშესაფრის სამსახურის თანამშრომლის საუბარი, გახსოვდეთ, რომ არსებობს თარჯიმანი, რომელიც დაგეხმარებათ.

- თავშესაფრის განცხადების შეტანის დროს ვალდებული ხართ სრული გულახდილობით უპასუხოთ თანამშრომლის შეკითხვებს. თუ თქვენს მიერ მიწოდებული ინფორმაცია ან მოყვანილი ფაქტები არ შეესაბამება სიმართლეს, ეს უარყოფით ზეგავლენას მოახდენს თქვენი განცხადების განხილვაზე.

- თუ თქვენ ხართ არასრულწლოვანი თანმხლების გარეშე, ე.ი. ხართ 18 წლამდე ასაკის მზრუნველობის გარეშე დარჩენილი არასრულწლოვანი, საბერძნეთის კანონმდებლობის ან პრაქტიკის შეაბამისად, ხელისუფლების ორგანომ დაუყონებლივ უნდა აცნობოს კომპეტენტურ პროკურორს (რწმუნებულს). პროკურორი (რწმუნებული) მოგამაგრებთ წარმომადგენელს (კომისარს), რომელიც არის თქვენზე პასუხისმგებელი პირი (მეურვე/მზრუნველი) და დაიცავს თქვენ ინტერესებს. თუ თქვენ ხართ 15 წლის ასაკზე ქვემოთ, საერთაშორისო დაცვის განცხადება უნდა შეიტანოს თქვენზე მომაგრებულმა წარმომადგენელმა (მეურვე/მზრუნველი). თუ ხართ 15 წლის ასაკზე მეტის, შეგიძლიათ პირადად შეიტანოთ განცხადება. ხელისუფლების სათანადო ორგანო უზრუნველყოფს თქვენს დაცვას და განთავსებას არასრულწლოვანთათვის შესაბამის გარემოში.

- საერთაშორისო თავშესაფრის მაძიებლის განცხადებით მიმართვისას, თქვენ და 14 წლის ასაკზე უფროს, ყველა თქვენი ოჯახის წევრს გადაგიღებენ სურათს და აგიღებენ თითის ანაბეჭდებს. ანაბეჭდები შეტანილი იქნება ევროკავშირის ერთობლივ მონაცემთა ბანკის ე.წ. "ევროდაკის" (EURODAC) სისტემაში. იმ შემთხვევაში, თუ თქვენ უკვე მოითხოვეთ საერთაშორისო თავშესაფარი ევროპის სხვა სახელმწიფოში, რომელიც ასრულებს დუბლინი III"-ის რეგულირებას, თავშესაფრის მოთხოვნის განცხადების განსახილველად გადაყვანილი იქნებით ამ ქვეყანაში.

- თავშესაფრის მოთხოვნის განცხადებას თან უნდა დაურთოთ თქვენს ხელთ არსებული თქვენი და თქვენი ოჯახის წევრების სამგზავრო დოკუმენტები (პასპორტი), პირადობის დამადასტურებელი ნებისმიერი დოკუმენტები, თქვენი წარმოშობის, მოქალაქეობის და ოჯახური მდგომარეობის დამადასტურებელი საბუთები და ყველა ის დოკუმენტები, რომელებიც ადასტურებენ თქვენი თავშესაფრის მოთხოვნის საფუძვლიანობას.

- შესაძლებელია ჩაგიტარდეთ სხეულის ან პირადი ნივთების შემოწმება (ჩხრეკა), აგრეთვე შეიძლება ჩაგიტარდეთ სამედიცინო შემოწმება.

- თავშესაფრის სამსახური გაცნობებთ გასაუბრების (ინტერვიუს) თარიღს და მოგცემთ საერთაშორისო დაცვის მთხოვნელი პირის ბარათს, რომლის მოქმედების ხანგრძლივობა შეიძლება იყოს ექვს თვემდე. ეს ბარათი მუდმივად თან უნდა იქონიოთ.

- როგორც საერთაშორისო დაცვის მთხოვნელ პირს, განცხადების შეტანისას უფლებამოსილი ორგანოები ვალდებულნი არიან გაცნობონ თქვენთვის გასაგებ ენაზე, როგორც თავშესაფრის განცხადების განხილვის პროცედურის პროცესის, თქვენი

უფლებების და მოვალებების, ასევე, ამ პროცედურის პროცესის განმავლობაში არსებული ვადების შესახებ.

- თუ ხართ წამების, გაუპატიურების ან სხვა სერიოზული ძალადობის მსხვერპლი ამის შესახებ უნდა აცნობოთ ორგანოებს, რათა გაგიწიონ დახმარება.
- შეგიძლიათ მოითხოვოთ გაეროს ლტოლვილთა უმაღლეს კომისარიატთან ან იმ ორგანიზაციასთან დაგაკავშიროს, რომელიც გაგიწევთ იურიდიულ, სამედიცინო და ფსიქოლოგიურ დახმარებას.
- პროცედურის პროცესის განმავლობაში გაქვთ უფლება მოითხოვოთ თქვენს მიერ ამორჩეული ადვოკატის ან სხვა მრჩეველის დახმარება. ადვოკატის ან სხვა მრჩეველის ანაზღაურება ხდება საკუთარი ხარჯებით.
- თუ თქვენ მოისურვებთ, მოგეცემათ მოკლე დრო, რათა შესაბამისად მოემზადოთ გასაუბრებისათვის და მიიღოთ რჩევა თქვენი ადვოკატისაგან ან სხვა მრჩეველისაგან, რომელიც დაგეხმარებათ პროცესის პროცედურის განმავლობაში.
- თუ ხართ ქალბატონი, შეგიძლიათ მოითხოვოთ გასაუბრების ჩატარება თავშესაფრის სამსახურის მდებარეობითი სქესის თანამშრომლის და თარჯიმნის მიერ, თუ არსებობს ამის შესაძლებლობა.
- ნებისმიერ შემთხვევაში შეიძლება გასაუბრება და თარგმნა ჩაგიტარდეთ იმ სქესის თანამშრომლის მიერ, რომელსაც თქვენ მოითხოვთ, თუ ამისათვის არსებობს სერიოზული მიზეზები. თქვენი შესაბამისი მოთხოვნა განიხილება თავშესაფრის სამსახურის მიერ და დაკმაყოფილდება შეძლებისდაგვარად.
- თუ ხართ არასლრულწოვანი თანხლების გარეშე, თქვენი წარმომადგენელი ვალდებულია გაცნობოთ გასაუბრების შესახებ. თქვენი წარმომადგენელი მოწვეული იქნება და მას შეუძლია დაესწროს გასაუბრებას თქვენთან ერთად. თქვენი ასაკის დადგენის მიზნით, ხელისუფლების ორგანოებმა შესაძლოა ჩაგიტაროთ სამედიცინო შემოწმება. ამ პროცედურის განსახორციელებლად საჭიროა გეცნობოთ თქვენ და თქვენს წარმომადგენელს და არსებობდეს ერთ-ერთი თგვენგანის თანხმობა მასზედ.

საერთაშორისო დაცვის განცხადებაზე უარის თქმა და უკან გამოთხოვა

- შეგიძლიათ უარი თქვათ თქვენს განცხადებაზე, როდესაც თქვენ ამას მოისურვებთ. თქვენ პირადად უნდა მიმართოთ თავშესაფრის რეგიონალურ სამსახურს წერილობითი განცხადების ფორმით. თუ თქვენ უარს იტყვით საერთაშორისო დაცვის განაცხადზე, თავშესაფრის სამსახური შეწყვეტს თქვენი განცხადების განხილვის პროცესს პროცედურას. თქვენ ვალდებული იქნებით დატოვოთ ქვეყანა, რადგან აღარ გექნებათ რაიმე სახის ცხოვრების ნებართვის საბუთი.
- თავშესაფრის სამსახურმა შეიძლება ჩათვალოს, რომ თქვენ აღარ გაინტერესებთ თქვენი განცხადების განხილვის გაგრძელება (განცხადების ჩუმი გამოთხოვა) და შეწყვიტოს მისი განხილვა თუ:
 - ა) თქვენ უარს იტყვით ამბობთ მიაწოდოთ სახელმწიფო ორგანოებს სერიოზული მნიშვნელობის ინფორმაცია, რომელიც მნიშვნელოვანია თქვენი განცხადების განხილვისათვის, რის შესახებაც გთხოვეს, ან
 - ბ) არ გამოცხადდებით გასაუბრებაზე, ან
 - გ) გაიქცევით პატიმრობის სამყოფელიდან, ან

დ) არ შეასრულებთ იმ მოვალეობებს, რომლებიც დაგეკისრათ პოლიციისგან პატიმრობის სანაცვლოდ, ან

ე) დატოვებთ სახელმწიფო ორგანოების მიერ თქვენთვის გამოყოფილ საცხოვრებელ ადგილს მათთან შეთანხმების გარეშე, ან

ვ) დატოვებთ ქვეყანას თავშესაფრის სამსახურიდან ნებართვის აღების გარეშე, ან

ზ) არ შეატყობინებთ თავშესაფრის სამსახურს მისამართის და საკონტაქტო მონაცემების (ტელეფონი) შეცვლის შესახებ, ან

თ) არ დაუკავშირდებით თავშესაფრის სამსახურს, როდესაც ეს მოგეთხოვებათ, ან

ი) არ გამოცხადდებით ბრათის გადასავადებლად მისი მოქმედების ვადის გასვლიდან არა უგვიანეს ერთ სამუშაო დღეში.

იმ შემთხვევაში თუ თავშესაფრის სამსახური შეწყვეტს თქვენი განცხადების განხილვას, თქვენ უფლება გაქვთ მოითხოვოთ მისი განხილვის გაგრძელება. ამისათვის, უნდა მიმართოთ თავშესაფრის სამსახურს და აუხსნათ თუ რა მიზეზების გამო არ უნდა ჩაეთვალიათ მათ, რომ თქვენ აღარ გაინტერესებთ თქვენი განცხადების განხილვა. თავშესაფრის სამსახური შესაბამისად მიიღებს გადაწყვეტილებას. იმ შემთხვევაში, თუ თავშესაფრ სამსახურმა არ დააკმაყოფილა თქვენი მოთხოვნა, თქვენ გაქვთ გასაჩივრების უფლება.

საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის განცხადების განხილვის პროცესი პროცედურა

- თავშესაფრის სამსახურის მიერ დანიშნულ დღეს გაივლით გასაუბრებას (ინტერვიუ), რომელსაც ჩაატარებს თავშესაფრის სამსახურის თანამშრომელი. თქვენ ვალდებული ხართ უპასუხოთ სრული გულახდილობით კითხვებზე, სრულყოფილად მიაწოდოთ მხოლოდ ჭეშმარიტი ფაქტები და არ დამალოთ არცერთი ინფორმაცია, რომელიც ეხება თქვენი განცხადების საფუძველს. თუ თქვენ მიაწოდებთ არასწორ ფაქტებს ან მტკიცებულებებს, ეს უარყოფითად იმოქმედებს თქვენს განცხადებაზე განხილვის გადაწყვეტილების მიღებაზე.

- გასაუბრებაზე თავშესაფრის სამსახურის თანამშრომელი დაგისმევთ შეკითხვებს კერძოდ იმ მონაცემების შესახებ, რომლებიც თქვენ მიუთითებთ თავშესაფრის განცხადებაში, თქვენი პირადობის მონაცემებზე, თუ როგორ ჩამოხვედით საბერძნეთში, რა მიზეზების გამო წამოხვედით თქვენი წარმოშობის ქვეყნიდან ან თქვენი მუდმივი საცხოვრებელი ადგილის ქვეყნიდან, თუ ხართ მოქალაქეობის არმქონე პირი. აგრეთვე კითხვები შეეხება იმ მიზეზებს, რომელთა გამოც არ შეგიძლიათ ან არ გაქვთ უკან დაბრუნების სურვილი. გასაუბრების დროს შეგიძლიათ დაამატოთ სხვა ფაქტებიც თუ თვლით, რომ ეს მნიშვნელოვანია.

- თუ ენის გამო ვერ შეძლებთ დაამყაროთ კონტაქტი თავშესაფრის სამსახურის თანამშრომელთან, გასაუბრებას დაესწრება თარჯიმანიც.

- გასაუბრებაზე შეგიძლიათ გამოცხადდეთ ადვოკატთან ან სხვა მრჩეველთან ერთად (იურისტი, ექიმი, ფსიქოლოგი ან სოციალური მუშაკი).

- გასაუბრება (ინტერვიუ) არის კონფიდენციალური.

- შესაძლებელია განხორციელდეს გასაუბრების აუდიო ჩაწერა. იმ შემთხვევაში, თუ არ განხორციელდა გასაუბრების აუდიო ჩაწერა, თავშესაფრის სამსახურის თანამშრომელი შეადგენს ტექსტს (მოხსენებას), რომელშიც დაფიქსირდება გასაუბრების მსვლელობის დროს დასმული შეკითხვები და მათზე გაცემული პასუხები. ამ შემთხვევაში თქვენ უნდა შეამოწმოთ ტექსტის ჩანაწერი თარჯიმნის

დახმარებით, დაადასტუროთ მისი შინაარსის ჭეშმარიტება ან მოითხოვოთ მისი შესწორება და ხელი მოაწეროთ. თქვენ შეგიძლიათ ნებისმიერ დროს მოითხოვოთ ამ (მოხსენების) ტექსტის ან თქვენი ინტერვიუს აუდიო ჩანაწერის ასლი.

- ინტერვიუს შემდეგ თავშესაფრის სამსახური გადაწყვეტავს მოგვით ლტოლვილის ან დამხმარე დაცვის სტატუსი, ან არ დააკმაყოფილებს თქვენს განცხადებას (მოთხოვნას).
- როდესაც გამოვა დასკვნა თქვენი თავშესაფრის განცხადების თაობაზე, თავშესაფრის სამსახური შეგატყობინებთ ამის შესახებ, რათა გადმოგვეცეთ პირადად ხელში. თქვენი შეტყობინება მოხდება იმ სკონტაქტო მონაცემების საფუძველზე, რომელიც განცხადებული გაქვთ, ან ტელეფონით, ან წერილობითი შეტყობინებით, ან დეპუტის სახით, ფაქსით ან ელექტრონული ფოსტით.
- თავშესაფრის სამსახურმა უნდა გადმოქცეთ გადაწყვეტილება თარჯიმნის დახმარებით თქვენთვის გასაგებ ენაზე.
- თუ თქვენ არ მიგიღიათ გადაწყვეტილება და არ წახვალთ თქვენი ბარათის გასანახლებლად, მისი მოქმედების ვადის გასვლიდან არაუგვიანეს ერთ სამუშაო დღეში, თავშესაფრის სამსახური ჩათვლის, რომ გადაწყვეტილება გადმოგეცათ ბარათის მოქმედების ვადის დასრულების დღეს.

საერთაშორისო დაცვის მთხოვნელ პირთა მოვალეობები

როგორც საერთაშორისო დაცვის მთხოვნელი პირი საბერძნეთში, ვალდებული ხართ:

- თქვენი განცხადების განხილვის პროცესის პროცედურის დასრულებამდე იმყოფებოდეთ საბერძნეთში.
- ითანამშრომლოთ საბერძნეთის ხელისუფლების ორგანოებთან ყველა იმ თემაზე, რომელიც დაკავშირებულია თქვენს განცხადებასთან და თქვენი პირადობის მონაცემების იდენტიფიკაციასთან.
- პირადად გამოცხადდეთ თავშესაფრის სამსახურში ბარათის მოქმედების ვადის გასაგრძელებლად მისი ძალაში ყოფნის თარიღის დასრულებამდე, ან ამ თარიღის გასვლიდან არა უგვიანეს ერთ სამუშაო დღეში.
- დაუყოვნებლივ აცნობოთ თავშესაფრის სამსახურს თქვენი საცხოვრებელი ადგილის მისამართი და საკონტაქტო მონაცემები, ასევე მათი შეცვლის შესახებ. თავშესაფრის სამსახური გამოგიგზავნით თქვენს მიერ მითითებულ მისამართზე თქვენს განცხადებასთან (მოთხოვნასთან) დაკავშირებულ საბუთებს.
- დაიცვათ ყველა ის ვადები, რომლებიც განსაზღვრულია თქვენი განცხადების განხილვის პროცესის პროცედურის სხვადასხვა სტადიებზე.
- გაამჟღავნოთ თქვენი რეალური ფინანსური მდგომარეობა იმ შემთხვევაში, თუ სარგებლობთ დახმარებით სახელმწიფოსგან.
- დაიცვათ ვალდებულებები, რომლებიც გეკისრებათ თავშესაფრის ცენტრში ან სხვა ადგილას დაბინავების შემთხვევაში.

საერთაშორისო დაცვის მთხოვნელ პირთა უფლებები

როგორც საერთაშორისო დაცვის მთხოვნელი პირი საბერძნეთში:

- აკრძალულია თქვენი დეპორტირება თქვენი განცხადების (მოთხოვნის) განხილვის პროცესის პროცედურის დასრულებამდე.

- შეგიძლიათ თავისუფლად იმოძრაოთ ქვეყნის შიგნით, გარდა იმ შემთხვევისა თუ თქვენს ბარათში მითითებულია ქვეყნის კონკრეტული რეგიონი, სადაც გაქვთ თავისუფალი გადაადგილების უფლება.
- თუ არ გაქვთ საცხოვრებელი ადგილი, შეგიძლიათ მოითხოვოთ დაბინავება მიმღებ ცენტრში ან სხვა ადგილას.
- საბერძნეთის კანონმდებლობის მიერ განსაზღვრული პირობების შესაბამისად, გაქვთ მუშაობის უფლება .
- გაქვთ იგივე სადაზღვევო უფლებები და მოვალეობები, როგორც ნებისმიერ მომუშავე საბერძნეთის მოქალაქეს.
- უფლება გაქვთ ისარგებლოთ უფასო სამედიცინო, ფარმაცევტული და სამკურნალო დახმარებით, იმ შემთხვევაში თუ არ გაქვთ დაზღვევა და ხართ ხელმოკლე.
- თქვენს ბავშვებს, და აგრეთვე თქვენც, თუკი თქვენ ხართ არასრულწლოვანი, გეძლევათ უფასო სახელმწიფო განათლების უფლება.
- თქვენ გეძლევათ პროფესიული მომზადების შესაძლებლობა.
- თუ გაქვთ 67%-ზე მაღალი ინვალიდობა და თქვენი ცხოვრება შეუძლებელია მიმღებ ცენტრში, თქვენ უფლება გაქვთ მიიღოთ ინვალიდობის დახმარება,
- როგორც საერთაშორისო თავშესაფრის მთხოვნელ პირს, თქვენ არ შეგიძლიათ იმოგზაუროთ საბერძნეთის საზღვრებს გარეთ.
- როგორც საერთაშორისო თავშესაფრის მთხოვნელ პირს, თქვენ არ შეგიძლიათ ჩამოიყვანოთ ოჯახი თქვენი წარმოშობის ქვეყნიდან საბერძნეთში.

გასაჩივრების უფლება და მეორე ეტაპზე განხილვა

- თუ თქვენი განცხადება არ დაკმაყოფილდა ან მოგცეს ნაწილობრივი დამხმარე დაცვის სტატუსი და თვლით, რომ გეკუთვნით ლტოვილის სტატუსი, თქვენ უფლება გაქვთ მიმართოთ საჩივრით სააპელაციო ორგანოს.
- საჭიროა, საჩივრის განცხადებით მიმართოთ თავშესაფრის რეგიონალურ სამსახურს ან თავშესაფრის რეგიონალური სამსახურების იმ ინსტანციას, რომელმაც გადმოგცათ გადაწყვეტილება, იმ ვადაში, რომელიც მითითებულია თქვენს გადაწყვეტილებაში
- ამ ვადის ათვლა იწყება გადაწყვეტილების მიღების თარიღის შემდგომი დღიდან. თუ თქვენ არ გადმოგცათ გადაწყვეტილება რაიმე მიზეზის გამო, სარჩელის შესატანად გეძლევათ 60 დღის ვადა ბარათის მოქმედების ვადის გასვლის თარიღიდან ან გადაწყვეტილების მიღების თარიღიდან, თვითოეული საქმიდან გამომდინარე.
- თქვენს საჩივარს განიხილავს სააპელაციო კომისია. სააპელაციო კომისია, ჩვეულებრივ, განიხილავს საჩივრებს თქვენი საქმის მონაცემების საფუძველზე და არ გიწვევთ გასაუბრებაზე. თქვენ შეიტყობთ თქვენი საჩივრის განხილვის თარიღს, და აგრეთვე, თქვენი სურვილის შემთხვევაში, თუ როდის შეიძლება მიაწოდოთ დამატებითი ინფორმაცია, რათა ეს უკანასკნელი გაითვალისწინოს სააპელაციო კომისიამ.
- თქვენ შეგიძლიათ უარი თქვათ თქვენს საჩივარზე, მისი განხილვის პროცედურის დასრულებამდე. თქვენ პირადად უნდა გამოცხადდეთ თავშესაფრის რეგიონალურ სამსახურში, იქ, სადაც შეიტანეთ თქვენი საჩივარი, და უარი

განაცხადით მასზედ წერილობითი ფორმით. თუ თქვენ უარს განაცხადებთ საჩივარზე, მისი განხილვა შეწყდება და თქვენ ვალდებული იქნებით დატოვოთ ქვეყანა, რადგანაც აღარ გექნებათ რაიმე სახის ცხოვრების ნებართვის საბუთი.

- სააპელაციო კომისიამ შეიძლება ჩათვალოს, რომ თქვენ არ ხართ დაინტერესებული თქვენი საჩივრის განხილვის გაგრძელებით (ირიბი გამოთხოვა) და შეწყვიტოს იგი თუ :

ა) თქვენ უარს იტყვით ამბობთ მიაწოდოთ სახელმწიფო ორგანოებს, სერიოზული მნიშვნელობის ინფორმაცია, რომელიც მნიშვნელოვანია თქვენი განცხადების განხილვისათვის, რის შესახებაც გთხოვეს, ან

ბ) გაიქცევით პატიმრობის სამყოფელიდან, ან

გ) არ შესრულებთ იმ მოვალეობებს, რომლებიც დაგკისრათ პოლიციისგან პატიმრობის სანაცვლოდ, ან

დ) დატოვებთ სახელმწიფო ორგანოების მიერ თქვენთვის გამოყოფილ საცხოვრებელ ადგილს მათთან შეთანხმების გარეშე, ან

ე) დატოვებთ ქვეყანას თავშესაფრის სამსახურიდან ნებართვის აღების გარეშე, ან

ვ) არ შეატყობინებთ თავშესაფრის სამსახურს მისამართის და საკონტაქტო მონაცემების (ტელეფონი) შეცვლის შესახებ, ან

ზ) არ დაუკავშირდებით თავშესაფრის სამსახურს, როდესაც ეს მოგეთხოვებათ, ან

თ) არ გამოცხადდებით ბარათის გადასავადებლად მისი მოქმედების ვადის გასვლიდან არაუგვიანეს ერთი სამუშაო დღეში.

იმ შემთხვევაში, თუ სააპელაციო კომისია გადაწყვიტავს მიგიწვიოთ გასაუბრებაზე ამის შესახებ თქვენ შეიტყობთ გასაუბრებამდე ხუთი (5) სამუშაო დღით ადრე. თქვენ გაქვთ უფლება გამოცხადდეთ სააპელაციო კომისიაზე ადვოკატთან ან სხვა მრჩეველთან ერთად. თუ თქვენ არ გამოცხადდით სააპელაციო კომისიაზე, ამის მიუხედავად, თქვენი საჩივარი განიხილება ჩვეულებრივად.

- სააპელაციო კომისია გადაწყვიტავს მოგცეთ ლტოლვილის სტატუსი ან დამხმარე დაცვის სტატუსი, ან უარყოფს თქვენს საჩივარს.

- სააპელაციო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების მიღების პროცესი გადმოცემის პროცედურა არის ხდება იგივე ფორმით, როგორც თავშესაფრის სამსახურის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადმოცემის შემთხვევაში .მიღების პროცესთან.

- თუ თქვენი საჩივარი უარყვეს ან მოგცეს ნაწილობრივი დამხმარე დაცვის სტატუსი და თვლით, რომ გეკუთვნით ლტოლვილის სტატუსი, შეგიძლიათ მოითხოვოთ გადაწყვეტილების გაუქმება კომპეტენტურ სასამართლოში. გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნას არ აქვს ავტომატურად აღმდგენი ეფექტი, ანუ შესაძლებელია თქვენი ქვეყნიდან გამეგება.

საერთაშორისო დაცვის მთხოვნელ პირთა პატიმრობა

უნდა იცოდეთ, რომ:

- საერთაშორისო დაცვის მთხოვნელ პირს არ აკავებენ მხოლოდ იმიტომ, რომ შემოვიდა ან იმყოფება ქვეყანაში არალეგალურად.

- თუ თქვენ მოითხოვთ საერთაშორისო დაცვის სტატუსი სისხლის სამართლის დანაშაულის სასჯელის მოხდის პერიოდში, თქვენი პატიმრობის ვადა გაგრძელდება.

- თუ თქვენ შეიტანეთ საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის განცხადება პატიმრობაში ყოფნის დროს, თქვენი დაკავების მიზეზი კი არის ქვეყანაში არალეგალურად შემოსვლა, ან ჯერ არ არის სისრულეში მოყვანილი დასრულებული თქვენი ქვეყნიდან გაძევების გადაწყვეტილება, შესაძლებელია, თუ პოლიციამ მიიჩნია, რომ თქვენს შემთხვევაში შეუძლებელია სხვა ზომების მიღება, თქვენ გაგირძღვით პატიმრობის ვადა, რათა:

- ა) მოხდეს თქვენი პირადობის რეალური მონაცემების ან წარმოშობის დადგენა, ან
- ბ) დადგინდეს ის მონაცემები, რომლებიც წარმოადგენს საერთაშორისო დაცვის სტატუსის განაცხადის საფუძველს და რომელთა მოპოვებაც სხვა შემთხვევაში იქნებოდა შეუძლებელი, განსაკუთრებით როდესაც არსებობს გაქცევის საშიშროება.
- გ) როდესაც დასტურდება, რომ არსებობს საფუძვლიანი მიზეზები იმის ვარაუდისა, რომ თავშესაფრის მთხოვნელმა პირმა შეიტანა საერთაშორისო დაცვის სტატუსის განცხადება უკან დაბრუნების გადაწყვეტილების ძალაში მოყვანის დაყოვნების ან შეფერხების მიზნით.
- დ) წარმოადგენთ საშიშროებას ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების ან საზოგადოებრივი წესრიგისათვის,
- ე) როდესაც არსებობს, რეგულაციით (EE) გათვალისწინებული No. 604/2013, გაქცევის მნიშვნელოვანი რისკი. იმისათვის, რომ გარანტირებული იქნას ტრანსპორტირების პროცედურის განხორციელება ზემოთ აღნიშნული რეგულაციის შესაბამისად.

თქვენი პატიმრობა საჭიროდ არის მიჩნეული თქვენი განცხადების სწრაფი და ეფექტური განხილვისათვის (თუნდაც ეს განცხადება ჩაბარებული გქონდეთ პირველადი მიღების ობიექტებზე ყოფნის დროს). ამ შემთხვევაში განხილვის უფლებამოსილმა ორგანოებმა უნდა მიიღონ აუცილებელი ზომები, რათა სწრაფად განიხილოს თქვენი განცხადება. ან

- საბერძნეთის პოლიციამ შეიძლება გადაწყვიტოს თქვენი დაკავება მაშინაც კი, როდესაც თქვენ არ იმყოფებით პატიმრობაში, როგორც გამონაკლისი, და ვინაიდან თვლის, რომ არ შეიძლება თქვენს მიმართ მიღებული იქნას სხვა ზომები, გარდა დაპატიმრებისა, ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების ან საზოგადოებრივი წესრიგისათვის.

- თქვენი დაკავება შეიძლება გაგრძელდეს 45 დღიდან 18 თვემდე. პატიმრობის ხანგრძლივობა დამოკიდებულია თქვენი დაკავების მიზეზზე.

- თქვენს პატიმრობას გადაწყვიტავს პოლიციის უფროსი, რომელმაც გადაწყვეტილებაში დეტალურად უნდა ახსნას თუ რატომ გადაწყდა თქვენი დაკავება.

- დაკავების გადაწყვეტილების შემთხვევაში, თქვენ უფლება გაქვთ შეიტანოთ პროტესტი ადმინისტრაციული სასამართლოს თავჯდომარის ან რეგიონალური კომპეტენტური ადმინისტრაციულ სასამართლოს სახელზე, იქ სადაც იმოფებით პატიმრობაში.

- თუ ხართ პატიმარი ან იმყოფებით პირველადი მიღებისა და იდენტიფიცირების ცენტრში, საერთაშორისო დაცვის მთხოვნელი პირის ბარათს მიიღებთ თქვენი განთავისუფლების დღეს. თუ თქვენი თავშესაფრის მოთხოვნის განხილვის პროცესი არ არის დასრულებული, ვალდებული ხართ არა უგვიანეს ათი (10) დღის განმავლობაში განაცხადოთ თქვენი საკონტაქტო მონაცემები თავშესაფრის

რეგიონალურ სამსახურში და აიღოთ ბარათი იმ შემთხვევაში, თუ ის თქვენ უკვე არა გაქვთ აღებული.

ახალი მნიშვნელოვანი დამატებითი მონაცემების დართვა საერთაშორისო დაცვის განცხადებაში

- თუ თავს იჩენს ახალი მნიშვნელოვანი ფაქტები საჩივრის ან საერთაშორისო დაცვის განცხადების უარყოფის შემდეგ და თუ, საჩივრის შეტანის საბოლოო თარიღი არის გასული, შეგიძლიათ შეიტანოთ ახალი განცხადება (განმეორებითი მომდევნო, მოგვიანებით).
- მომდევნო განმეორებითი განცხადება უნდა შეიტანოთ რომელიმე თავშესაფრის რეგიონალურ სამსახურში ან თავშესაფრის რეგიონალური სამსახურების ინსტანციაში. თან უნდა იქონიოთ პირველი განცხადების უარყოფის გადაწყვეტილება და წერილობითი ფორმით შეიტანოთ არსებული ახალი მნიშვნელოვანი ფაქტები, რომლებმაც მოგვიანებით იჩინეს თავი. მომდევნო განმეორებითი განცხადების შეტანის შემდეგ თქვენ არ მოგეცემათ საერთაშორისო დაცვის მთხოვნელი პირის ბარათი.
- თავშესაფრის სამსახური განიხილავს თქვენს მიერ შეტანილ ახალ ფაქტებს და გადაწყვეტს, მნიშვნელოვანი არის თუ არა ეს ფაქტები თქვენი საერთაშორისო დაცვის განცხადებისათვის.
- თუ, თავშესაფრის სამსახური უარყოფს თქვენს განმეორებით მომდევნო განცხადებას, თქვენ შეგიძლიათ შეიტანოთ საჩივარი ლტოლვილთა სააპელაციო კომისიაში არა უგვიანეს თხუთმეტი (15) დღის განმავლობაში. ამ ვადის ათვლა იწყება თქვენი გადაწყვეტილების ხელში მიღების თარიღის შემდგომი დღიდან .
- თუ, თავშესაფრის სამსახური მიიღებს განსახილველად თქვენს მომდევნო განმეორებით განცხადებას, მხოლოდ ამ შემთხვევაში მოგეცემენ თქვენ საერთაშორისო დაცვის მთხოვნელი პირის ბარათს და თავშესაფრის სამსახური გააგრძელებს თქვენი განცხადების განხილვის პროცედურას.

გვინდა გაცნობოთ, რომ თავშესაფრის სამსახურის ტერიტორიაზე აკრძალულია შემდეგი ნივთების შეტანა: იარაღი, ბასრი ან სხვა საგანი, რომელიც შესაძლებელია გამოყენებული იქნას ტრავმის მიყენების მიზნით. აგრეთვე, ფეთქებადი და აალებადი მასალები, ქიმიური და მომწამვლელი ნივთიერებები.

აგრეთვე აკრძალება პიროვნებების შესვლა ბარგით ან ჩანთებით, გამონაკლისს წარმოადგენს საქაღალდეები და პატარა ხელჩანთები.

შეიზღუდება მობილური ტელეფონების გამოყენება თავშესაფრის სამსახურის ეზოს ტერიტორიაზე, მხოლოდ. აკრძალება ფოტოს და ვიდეოს გადაღება თავშესაფრის სამსახურის როგორც შიდა, ასევე გარე ტერიტორიებზე.